სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი აქტივობები

საანგარიშო პერიოდი (2018 წლის იანვარი-დეკემბერი)

შინაარსი

პროექტები **3**

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები 3

სახელმძღვანელოების პროექტი 4

საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისთვის **5**

ჟურნალები **6**

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი 6

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში 7

კონფერენციები, ფორუმები, სემინარები **8**

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - უკრაინა-საქართველო: დიპლომატიური ურთიერთობების 100 წელი 8

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ 9

საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია „კიბერუსაფრთხოება: საქართველო და შავი ზღვის რეგიონი“ 10

IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "პოლიტიკა კავკასიის გარშემო" 11

სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“ 12

სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია 13

სტუდენტთა ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენცია 14

საჯარო ლექციათა ციკლი **17**

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018 ..... **18**

პროექტები

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N10/2018 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა კონკურსი მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა შეეძლოთ ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით.

საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ვალერიან მელიქიძე - კომისიის თავჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში
- ✓ თეონა მატარაძე – კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი
- ✓ ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი
- ✓ კორნელი კაკაჩია – პროფესორი
- ✓ ნინო ჭალაგანიძე – ასოცირებული პროფესორი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა **4** განაცხადი. კომისიის შეფასებით გაიმარჯვა სამმა პროექტმა:

- „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის (ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ნაწილი) განვითარების პოტენციალის შეფასება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით“

  ხელმძღვანელი - გიორგი კვინიკაძე, ასოცირებული პროფესორი

- სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სოციალური შედეგები და მიზეზები“
  ხელმძღვანელი - იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი

- „სამოქალაქო საზოგადოების როლი კონკურენტური ავტორიტარიზმიდან ელექტორალურ დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში: საქართველოს მაგალითი“
  ხელმძღვანელი - დავით სიჭინავა, ასისტენტ-პროფესორი

პროექტები დასრულდა 2018 წლის ნოემბერში. 2019 წლის მარტის თვეში შედგა პროექტების შედეგების პრეზენტაცია, სადაც პროექტში ჩართულმა პირებმა წარმოადგინენ კვლევის ძირითადი მიგნებები.

სახელმძღვანელოების პროექტი

2018 წლის იანვარში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N2 ბრძანების თანახმად გამოცხადდა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების შექმნის კონკურსი. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 ლარი. კონკურსის პირობების თანახმად, ახალი სახელმძღვანელოების შექმნის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 5000 ლარზე მეტი. არსებული, 2013 წლამდე გამოცემული სახელმძღვანელოების განახლება კი არ უნდა აღმატებოდა 3000 ლარს. თებერვლის ბოლოს, საკონკურსო კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თამარ დოლბაია (ასოცირებული პროფესორი), მანანა შამილიშვილი (ასოცირებული პროფესორი), რევაზ ჯორბენაძე (ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ვალერიან მელიქიძე (ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში), თეონა მატარაძე (ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი), ფიქრია ასანიშვილი (ასოცირებული პროფესორი) გამარჯვებულად ცნო შემდეგი სახელმძღვანელოების პროექტები:

1. ი. კაჭკაჭიშვილი - „პოსტმოდერნული სოციალური თეორიები“
2. ი. იაშვილი - „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“
3. ხ. მაისაშვილი, მ. ტორაძე - „მედიისა და კომუნიკაციის კვლევების მიდგომები და ტექნიკები“
4. ალ. კუხიანიძე - „შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში (რუსულ ენაზე)“
5. გ. გოგსაძე - „მოსახლეობის გეოგრაფია“

   სახელმძღვანელოების ნახვა შესაძლებელია ბმულზე
   http://press.tsu.ge/ge/net_editions/zn8n_d-fahudyzs2_/

საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისთვის

2018 წლის 23–26 ივლისს, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, პრაღის ბიზნეს სკოლისა და პრაღის კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა საზაფხულო სკოლა დოქტორანტებისათვის **„აკადემიური ნაშრომის გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში: პრინციპები და პრაქტიკული რჩევები“** საზაფხულო სკოლის სასწავლო პროგრამის ხანგძლივობა იყო 30 საათი (20 საათი საკონტაქტო, 10 - დამოუკიდებელი).

სკოლას უძღვებოდა პრაღის ბიზნეს სკოლის პროფესორი **ვადიმ სტრიელკოვსკი.** სკოლის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და ელექტრონული სასწავლო მასალა.

ჟურნალები

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაარსდა "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი." ჟურნალი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და საშუალება მისცეს მათ, საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატია გადის შემოწმების რამდენიმე საფეხურს, რომელიც მოიცავს ტექნიკურ შემოწმებას, სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეფასებას და გარე რეცენზირებას. ამგვარი სისტემა საშუალებას მისცემს სტუდენტებს დააგროვონ რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების გამოცდილება. ჟურნალი გამოდის წლის განმავლობაში ორ ნაკვეთად.

ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ კორნელი კაკაჩია – მთავარი რედაქტორი, პროფესორი
- ✓ თეონა მატარაძე- აღმასრულებელი რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ✓ ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი
- ✓ ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი
- ✓ იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი
- ✓ ზურაბ აბაშიძე -ასოცირებული პროფესორი
- ✓ თორნიკე თურმანიძე_ასოცირებული პროფესორი

ჟურნალს ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- ✓ რევაზ გაჩეჩილაძე – პროფესორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სკოვაკეთში
- ✓ ზაზა ფირალიშვილი – დოქტორი
- ✓ ოლივერ რაისნერი – დოქტორი
- ✓ ფლორიან მიულფრიდი – დოქტორი

2015 წელს კრებულის პირველ გამოცემაში შემოვიდა 16 სტატია და აქედან გამოქვეყნდა _ 6, ამავე წლის მეორე ნომერში შემოვიდა 12 სტატია, გამოქვეყნდა – 4, 2016 წლის მესამე ნომერში შემოვიდა 10 სტატია და გამოქვეყნდა – 7. ამავე წლის მეოთხე ნომერში შემოვიდა 11 სტატია და გამოქვეყნდა – 7. 2017 წლის მეხუთე ნომერში შემოვიდა 7 სტატია გამოიცა –6; ამავე წლის მეექვსე ნომერში კი შემოვიდა 8 სტატია და გამოიცა -6, ხოლო ჟურნალის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდა 5 სამეცნიერო სტატია. გამოქვეყნებული სტატიების თემატიკამ მოიცვა სხვადასხვა სფერო: საერთაშორისო ურთიერთობი, საჯარო მმართველობა, ეკონომიკა და სატრანსპორტო ინფრასტურტურა.

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა.

ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან. 2018 წელს გამოვიდა ჟურნალის 4 ნომერი, სულ – 22 სტატია. გამოქვეყნებული სტატიების თემატიკამ მოიცვა მრავალი სფერო: სოციოლოგია, განათლება, პოლიტიკა, ეკონომიკა, გეოეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ემიგრაცია, მედია. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალის მერვე ნომერზე.

კონფერენციები, ფორუმები, სემინარები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - უკრაინა-საქართველო: დიპლომატიური ურთიერთობების 100 წელი

2018 წლის 27-28 მარტს, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გენადი უდოვენკოს სახელობის დიპლომატიური აკადემიის, უკრაინის ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, დიპლომატიის ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო საზოგადოებისა და უცხოური წარმომადგენლობების მომსახურების მთავარი განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„უკრაინა-საქართველო: დიპლომატიური ურთიერთობების 100 წელი“.**

კონფერენციის თემატიკა იყო:

- უკრაინა-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები 1917-2017 წლები;
- უკრაინული და ქართული დიპლომატიის სახეები: ქართულ-უკრაინული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილი 1917-2017 წლები;
- ისტორიულ წყაროებში ქართულ-უკრაინული ურთიერთობები 1917-2017 წლებში (სახელმწიფო და დიპლომატიური არქივები, პირადი კოლექციები, სამუზეუმო არქივი);
- უკრაინული საზოგადოების როლი საქართველოში და ქართული საზოგადოების როლი უკრაინაში - კულტურული დიპლომატია;
- უკრაინასა და საქართველოს საერთო გამოწვევები საერთაშორისო არენაზე და მათი გადაჭრის გზები.

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

21-23 ივნისს გაიმართა VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა”**, რომელის მიეძღვნა უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. კონფერენციის სამუშაო თემატიკა იყო: საზოგადოებრივი გეოგრაფიის, პოლიტიკური მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციოლოგიის, სოციალური მუშაობის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, რეგიონული და ნაციონალური კვლევების, გლობალიზაციის, ანთროპოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის სფეროებიდან. კონფერენციაზე მუშაობდა ინგლისურ და ქართულენოვანი სექციები. ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები: აშშ-დან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან. სულ წარმოდგენილი იყო 31 მოხსენება. დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://ssp.tsu.ge/ .

საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია „კიბერუსაფრთხოება: საქართველო და შავი ზღვის რეგიონი“

2018 წლის 2 აპრილს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო აკადემიური კონფერენცია **„კიბერუსაფრთხოება: საქართველო და შავი ზღვის რეგიონი“** გაიმართა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის დირექტორი ჟან-ივ ლავუარი, პროფესორები და სტუდენტები დაესწრნენ. კონფერენცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, კასტექსის სახელობის კიბერსტრატეგიის კათედრის, პარიზი 8–ის უნივერსიტეტისა და სავოის უნივერსიტეტების ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენციის პროგრამის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: https://www.tsu.ge/data/file_db/PR/cibersecurity.%20conference.pdf

2018 წლის 16 ნოემბერს, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და **საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის** ორგანიზებით ჩატარდა IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„პოლიტიკა კავკასიის გარშემო“.** კონფერენციის მიზანი იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკური აქტორების საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ისტორიის, ეკონომიკის, რელიგიის, კულტურისა და ხელოვნების, ენის, ლიტერატურისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევრები.

სტუდენტური კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“

2018 წლის 5 მაისს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-6 ერთობლივი სტუდენტური კონფერენცია **„კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“.** კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო პროგრამების მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები და მაგისტრანტები.

კონფერენციის სამუშაო თემები იყო:

ეკონომიკა;

საერთაშორისო ურთიერთობები;

საჯარო სექტორის რეფორმირება: საერთაშორისო გამოცდილება და არსებული გამოწვევები;

ჟურნალისტიკა;

სოციოლოგია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2018 წლის 14–15 ივნისს ჩატარდა სტუდენტთა IV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს. აბსტრაქტები განიხილა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ. სულ მიღებულ იქნა 58 აბსტრაქტი, სამეცნიერო კომისიამ კონფერენციისთვის შეარჩია **42** მოხსენება. სტუდენტების მოხსენებები შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით:

1. ზვიად აბაშიძე, ასისტენტ-პროფესორი
2. ფიქრია ასანიშვილი, ასოცირებული პროფესორი
3. მარინა ბურძენიძე, ასოცირებული პროფესორი
4. გიორგი კვინიკაძე, ასოცირებული პროფესორი
5. ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი
6. თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი
7. დავით მაცაბერიძე, ასისტენტ- პროფესორი
8. ვალერიან მელიქიძე (კომისიის თავმჯდომარე), ასოცირებული პროფესორი
9. ნანა ტალახაძე, ასოცირებული პროფესორი
10. თამარ ქარაია, ასისტენტ- პროფესორი

კონფერენციაზე მუშაობდა 6 სექცია ფაკულტეტის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. თითოეული სექციიდან გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

სტუდენტთა ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2018 წლის 27-29 ნოემბერს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი **სტუდენტთა 78-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია,** კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს. სულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო **45** მოხსენება, რომლებიც 5 სექციაში გადანაწილდა.

კონფერენციის მონაწილეები, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, შეაფასა ფაკულტეტის პროფესორებისაგან შემდგარმა 12-კაციანმა ჟიურიმ .

1. თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. ვალერიან მელიქიძე ასოცირებული პროფესორი
3. ზურაბ დავითაშვილი, პროფესორი
4. სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი
5. შორენა თურქიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი
6. ლია წულაძე, ასოცირებული პროფესორი
7. თამარ ქარაია, ასისტენტ-პროფესორი
8. დავით მაცაბერიძე, ასისტენტ-პროფესორი
9. ნანა ტალახაძე, ასოცირებული პროფესორი

10. რევაზ ჯორბენაძე, პროფესორი
11. გიორგი კვინიკაძე, ასოცირებული პროფესორი
12. ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თითოეული სექციიდან გამოვლინდა ერთი გამარჯვებული მოხსენება.

გამარჯვებული მომხსენებლები:

1) მონიკა გაბელაია, ელენე კურდღელია (დოქტორანტურის I სემესტრი), ქალთა საერთაშორისო შრომითი მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტები სამეგრელოს მაგალითზე (ხელმძღვანელი – გიორგი კვინიკაძე, ასოცირებული პროფესორი);

2) მარიკა გაჩეჩილაძე, სალომე აბულაშვილი (ბაკალავრიატის VII სემესტრი), ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საერთაშორისო/ეროვნულ კანონმდებლობაში და კანონმდებლობის მიღმა (ხელმძღვანელი _ კახა ქეცბაია, ასოცირებული პროფესორი);

3) ანა არევაძე, ლიკა ფეიქრიშვილი (ბაკალავრიატის VII სემესტრი), პოლიტიკოსების იმიჯის რეპრეზენტაცია თანამედროვე ქართულ ტელემედიაში (ხელმძღვანელი _მანანა შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი);

4) სალომე მარგველაშვილი, ნინო ჩოხელი (ბაკალავრიატის III სემესტრი), პოპულიზმის როლი ბრექსიტის ფენომენის ფორმირებაში (ხელმძღვანელი - გიორგი კვინიკაძე, ასოცირებილი პროფესორი);

5) ნიკა მუყასაშვილი, დაჩი ჩიტაია (ბაკალავრიატის III სემესტრი), სახელმწიფო პოლიტიკა პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტური თემის მიმართ _ დისკურსის ანალიზი (ხელმძღვანელი - სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი).

საჯარო ლექციათა ციკლი

2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველთვიურად ტარდება ფაკულტეტის პროფესორთა და უცხოელ მკვლევართა საჯარო ლექციები **-სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია: საქართველო ფოკუსში**

I ლექცია - 28 მარტი, „ბულგარეთი – საგარეო პოლიტიკა და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები“ – დესისლავა ივანოვა, ბულგარეთის ელჩი საქართველოში;

II ლექცია - 16 ივლისი, "მედიასისტემისა და გლასნოსტის ნარატივის თავისებურებები ქართულ მედიაში - 1989-1990 წლები" - ხათუნა მაისაშვილი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

III ლექცია - 4 ოქტომბერი, „ცვლილება და უწყვეტობა მცირე ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში: ელიტის აღქმები და საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსეთის მიმართ" - კორნელი კაკაჩია, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი;

IV ლექცია - 1 ნოემბერი, „ფსიქოისტორია, პოლიტიკა და ჯგუფური ფანტაზიები“ - რევაზ ჯორბენაძე, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური დეპარტამენტის პროფესორი;

V ლექცია - 16 ნოემბერი, “The Caucasian Geopolitical Knot” - რევაზ გაჩეჩილაძე, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორი;

VI ლექცია - 30 ნოემბერი, „სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობა სამშვიდობო პროცესებში“ - ბენედიქტ ჰილშერი, რუმინეთის სამშვიდობო ქმედების, ტრენინიგისა და კვლევის ინსტიტუტის მკვლევარი;

VII ლექცია - 6 დეკემბერი, „დისკურსი, როგორც სოციალური რეალობის კონსტრუირების ინსტრუმენტი და მისი ანალიზი". ლია წულაძე, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

საჯარო ლექციების სრული ვიდეოჩანაწერების ნახვა შესაძლებელი ბმულზე:
http://multimedia.tsu.edu.ge/ka/video/narkvevi

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2018

2018 წლის 24-28 სექტემბერს, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალმა, დოქტორანტებმა და მაგისტრებმა მონაწილეობა მიიღეს განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში. ფესტივალს წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა. მონაწილეებმა წარმოდგინეს ფაკულტეტის ეგიდით განხორციელებული კვლევების შედეგები. ჩატარდა ღია კარის დღეები, გაიმართა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან.

ღია კარის დღე ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრში

ცენტრის საქმიანობის წარმოსაჩენად, სტუდენტებისა და სტუმრების აქტიური ჩართულობით მომზადდა ფოტო, ვიდეო აუდიო და ონლაინ მედიაპროდუქტი. ამ აქტივობის ფარგლებში მოდელირებულ გადაცემაში ჟურნალისტ მარიამ ჩიქოვანს მიწვეული ჰყავდა ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი და რექტორი გიორგი შარვაშიძე. სტუმრებმა ისაუბრეს ჟურნალისტიკის სწვლებისა და მედიაპლურალიზმის შესახებ. გადაცემის ნახვა შესაძლებელია ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?time_continue=30&v=vfcseIubcpw

ღია კარის დღე გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიაში

მონაწიოლეებმა აჩვენეს თუ როგორ უნდა შეიქმნას რუკა გის–ის მეშვეობით (**QGIS და ArcGIS**)

საჯარო ლექციები

ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აქტუალურ საკითხებზე ჩაატარეს საჯარო ლექციები:

1. **თანამედროვე საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი ტენდენციები**
   პროფესორი _ გიორგი გოგსაძე
2. **ინფორმაციული საზოგადოებიდან სანახაობის საზოგადოებამდე: „რესენტიმენტი“ ქართულ ტელემედიაში**
   ასოცირებული პროფესორი _ მანანა შამილიშვილი
3. **მსოფლიო მედია სისტემების განვითარების ტენდენციები**
   ასოცირებული პროფესორი _ ხათუნა მაისაშვილი

4. **ურბანული განვითარების ტენდენციები და გამოწვევები**
   პროფესორი - იოსებ სალუქვაძე

კვლევების პრეზენტაციები:

ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა წარმოადგინეს რამდენიმე უახლესი ემპირიული კვლევების შედეგები:

- **ქალაქების სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ტენდენციები: ქალაქ ბათუმისა და ფოთის შედარებითი ანალიზი**
  ასოცირებული პროფეროსი გიორგი კვინიკაძე
- **„ტერიტორიული იდენტობა თბილისის, როგორც ურბანული სივრცის, ტრანსფორმაციის პროცესში“**
  პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე
- **„ელიტები, ისტორიული მემკვიდრეობა და საარჩევნო ქცევა საქართველოში“**
  ასისტენტ-პროფესორი დავით სიჭინავა

დოქტორანტთა კვლევები:

თავიანთი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებმა გამართეს თავიანთი კვლევების პრეზენტაციები:

- **სტუდენტთა ციფრული წიგნიერების დონის კვლევა**
  ილონა გოგია
- **ენერგომოხმარების ტენდენციები საქართველოს მცირე დასახლებულ პუნქტებში**
  გა ლეკვეიშვილი
- **საარჩევნო ქცევა საქართველოში: როგორ გამოიწვია რადიკალურმა რეფორმებმა ხელისუფლების ცვლილება**
  რატი შუბლაძე
- **გეო სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის გამოყენება, როგორც კატასტროფების მართვის და პრევენციის ინსტრუმენტი**
  ეკატერინე მესხიძე

მაგისტრანტთა კვლევები:

- **საერთაშორისო სტუდენტური მიგრაცია თბილისში: სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები**
  სალომე ბეროშვილი
- **არაფორმალური ეკონომიკის გენდერული ასპექტები: თბილისში მცხოვრები გარემოვაჭრე ქალების მაგალითზე**
  ნათია ქარჩილაძე

- **სახლის გაგება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა თაობაში**
  თამარ თაბაგარი, სოფიკო ბეგაშვილი

- **რუსული პროპაგანდის გამოვლინებათა სპეციფიკა ქართულ ონლაინმედიაში**
  მაია ჭანტურიძე
- **უმაღლესი განათლების მიღების მოტივაციები საქართველოში**
  ქეთევან მჭედლიშვილი
- **საქართველოს შრომის ბაზრის სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები როგორც პოსტ-საბჭოთა პოლიტიკების შედეგი**

  მარიამ იაკობიძე
- **1990-იანი წლების საქართველოში დაოჯახებული არასრულწლოვანი გოგოები და მათი დღევანდელი გამოწვევები**

  გვანცა კვინიკაძე
- **საერთაშორისო იმიგრაცია თბილისში, მისი სოციალურ-პოლიტიკური და გეოგრაფიული ასპექტები**

  დარეჯან თედორაძე
- **პარტიული ევროსკეპტიციზმი თანამედროვე საქართველოში**
  სანდრო ტაბატაძე
- **შერეული საარჩევნო სისტემის გავლენა არჩევნების შედეგების არაპროპორციულობაზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში**
  შოთა ნარსია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის გასვლითი ღია კარის დღე თბილისის N158 საჯარო სკოლაში

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა ქ. თბილისის N158 საჯარო სკოლაში გამართეს ღია კარის დღე მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის.

შეხვედრაზე ფაკულტეტის 6 საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები (შოთა ნარსია, ლიანა მარქარიანი, ლელა ჯავახიშვილი, თამარ გოგალაძე) დამსწრე საზოგადოებას ესაუბრნენ სოციალური მეცნიერებების დარგებზე, საბაკალავრო პროგრამებსა და ამ დარგებში სტუდენტთა სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.